16/02/2024

MES 9 24 0000167086

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 14 თებერვალს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

კახა შენგელია - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;

გაგა გვენეტაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

დავით ბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

გია ლობჟანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ლელა სალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს "ვიონი საქართველოს" პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომა დგენლები:

- *ლალი ოდიშვილი - უმაღლესიგანათლებისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურის კოორდინატორი*
- *სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესიგანათლებისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურის მთავარი სპეციალისტი*

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

- ნინო ენუქიძე - რექტორი
- ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანი
- თამარ ტუფინაშვილი - აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი
- თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- მაია ნონიაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი

- გიორგი ცხვედიანი - რექტორი
- ანი ქვათაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- თეა მიქელაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

შპს საქართველოს უნივერსიტეტი

- კონსტანტინე თოფურია - რექტორი
- სოსო გოგილიძე - პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში
- არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ქეთევან გეგიაძე - საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
- თამუნა ბერიძე - - ხარისხის შიდა პროცესების უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი
- თეონა შუშტაკაშვილი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი
- თამარ ლობჯანიძე - ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორი
- ნათია ლანდია - მედიცინის დეპარტამენტის უფროსი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპე რტები):

- ია ნაცვლიშვილი (I საკითხი)

- გიგა ხოსიტაშვილი (I საკითხი)
- დიანა მჭედლიშვილი (II საკითხი)
- ია მოსაშვილი (II საკითხი)
- ირინე ფხაკაძე (II საკითხი)
- ეკა გეგეშიძე (II საკითხი)
- შოთა სილაგაძე (II საკითხი)
- დავით სიხარულიძე (III საკითხი)
- ციცინო თურქაძე (III საკითხი)
- მარიამ ალექსიძე (III საკითხი)

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღისწესრიგი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

სხდომის დაწყების დრო: 14:00 საათი

პირველი საკითხი: შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს,ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ავტორიზაციის ექსპერტი, ია ნაცვლიშვილი მიესალმა **უ**მაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების თანახმად, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებულირეკომენდაციებისშესრულებისთაობაზეწარმოდგენილიანგარიშისშესწავლისმიზნით დაკომპლექტდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასება განხორციელდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული 28 რეკომენდაციიდან, დაწესებულებამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია გარდა ერთისა, რომელიც ექსპერტებმა ნაწილობრივ შესრულებულად ჩათვალეს. მოცემულ საანგარიშო პერიოდში, უნივერსიტეტმა შეადგინა გეგმა თუ როგორ უნდა მოეწყოს საავარიო გასასვლელი, მოიძია შესაბამისი კომპანია, ვინც ამ კონსტრუქციის მშენებლობას უზრუნველყოფს და გააფორმა ხელშეკრულება.

დოკუმენტაცია მოწმობს, რომ გადახდილია ხელშეკრულების ღირებულის 10% და სამუშაოების დასრულება იგეგმება მომდევნო წლის აგვისტოში. რადგან მოცემული რეკომენდაციის შედეგი ჯერ არ დამდგარა, ექსპერტებმა ჩათვალეს რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია. შესაბამისად, 7.1 სტანდარტი, რომელიც მოიცავს არა მარტო აღნიშნულ რეკომენდაციას, ექსპერტთა მოსაზრებით შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. ექსპერტმა ხაზი გაუსვა დაწესებულების პასუხისმგებლობით სავსე დამოკიდებულების საკითხს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, თამარა გვიანიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარება და დამატებითი ერთი კორპუსის აშენება. ინფორმაცია ამის შესახებ არ იყო ახალი ექსპერტებისთვის. მისი თქმით, კიბის მოწესრიგება მოხდება ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში. კიბის მოწყობა გულისხმობს დღეს არსებული კაფეტერიის გაუქმებას და მის ადგილას კიბის აშენებას, რომელიც დაიწყება მარტის თვეში და დასრულდება წლის ბოლომდე. ამ ეტაპზე არსებობს სათადარიგო გასასვლელი, რომელიც მოწესრიგდა ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი გულისხმობს შემდეგს: „შენობა - ნაგებობას გააჩნია დამატებითი გასასვლელი, რომლის კარიც უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ და არ იყოს რკინის.“ მოცემულ ავტორიზაციის სტანდარტს დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს. უნივერსიტეტმა დეკემბრის თვეში წარმატებით გაიარა შრომის უსაფრთხოების ინსპექციის აუდიტი. შესაბამისად, კანონმდებლობასთან შეუსაბამობა ამ მიმართულებით არ არის. თამარ გვიანიშვილის თქმით, ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ავტორიზაციის მიღებიდან სამი წლის შემდგომ წარმოადგინოს შუალედური ანგარიში, რომელიც გულისხმობს მიღებული რეკომენდაციების შესახებ ინფორმაციის წარდგენასაც. მომავალი წლის ზაფხულში, სამწლიანი ანგარიშის ფორმატში უნივერსიტეტი წარადგენს ინფორმაციას აღნიშნული რეკომენდაციის შესრულები შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:17
დასრულების დრო: 14:21
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი

გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 79^1-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

მეორე საკითხი: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **კი**

თვითაცილება განაცხადა გაგა გვენეტაძემ, საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტი დიანა მჭედლიშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული 20 რეკომენდაციიდან დაწესებულებამ 18 რეკომენდაცია გაითვალისწინა. შეუსრულებელი რეკომენდაციები ეხება სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგულირების პროცესის წარმართვის წესს. ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებით გაეცნო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ

არგუმენტირებულ პოზიციას რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. შესაბამისად, ამ უკანასკნელის დეტალურად შესწავლის შემდეგ საბოლოო დასკვნაში განხორციელდა ცვლილებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელი, გიორგი ცხვედიანი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიერ შეუსრულებელი რეკომენდაცია ეხება სტატუს შეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობის შემცირებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს განუმარტა, რომ სტატუს შეჩერებულთა დიდი რაოდენობა გამოწვეულია იმით, რომ საერთაშორისო სტუდენტი, რომელიც არ ჩამოდის საქართველოში ან არ აგრძელებს სწავლას უნივერსიტეტში, სტუდენტის მოთხოვნის გარეშე დაწესებულება ვერ შეუწყვეტს სტატუსს. დაწესებულების წარმომადგენელმა 5.2 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტებმა საბოლოო დასკვნის ფორმირების დროს შეცვალეს შეფასება, კერძოდ, როდესაც მათ დასკვნის პროექტი მიიღეს, შეფასება იყო მეტწილი, ხოლო საბოლოო დასკვნაში შეფასება შეიცვალა ნაწილობრივით. შესაძლოა ეს ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი და მან საბჭოს სთხოვა 5.2 სტანდარტის შეფასება განეხილა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა რეკომენდაციების დუბლირებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მეორე და მეხუთე სტანდარტში სამი რეკომენდაცია მეორდება, რომელიც შეფასებული უნდა ყოფილიყო ერთი სტანდარტის ფარგლებში. ხოლო 7.1 სტანდარტში ორი რეკომენდაცია არის მოცემული, რომელიც ეხება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის დოკუმენტს, აღნიშნული რეკომენდაციები არ შეესაბამება ამ სტანდარტის მოთხოვნებს, იმიტომ, რომ მოცემული სტანდარტი ეხება მატერიალურ რესურსებს და არა დოკუმენტებსა და მეთოდოლოგიას. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აღნიშნული რეკომენდაციები ამოღებული უნდა იქნას დასკვნიდან. გარდა ამისა, უნდა შეიცვალოს შეფასება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, უნდა გახდეს „შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.“ გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ რამდენიმე რეკომენდაცია შესაძლებელია რჩევის სახით ყოფილიყო დასკვნაში წარმოდგენილი, კერძოდ, 2.1 სტანდარტში მოცემული მეორე რეკომენდაცია. ექსპერტთა დასკვნაში გაუგებარია რა განაპირობებს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის მოდიფიცირებას. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა შეფასებული იქნა წინა ავტორიზაციისა და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლებსაც შენიშვნები არ გამოუხატავთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პირველი და მესამე რეკომენდაცია ეხება მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის შეფასების სისტემის შემუშავებას. ეს ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ დაწესებულებაში არ მოქმედებს პროცესების გეგმა, რომელსაც ექსპერტები გაეცნენ კიდეც. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები უნდა იყოს გაცემული რჩევის სახით. ხარისხის პროცესების ეფექტიანობის შეფასებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ შეფასებულია ხარისხის პროცესების ეფექტიანობა, რომლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია არგუმენტირებულ პოზიციაში. დაწესებულება ხარისხის პროცესებს აფასებს არა მარტო ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გარე შეფასებით, არამედ საერთაშორისო ექსპერტებით. გიორგი ცხვედიანმა 3.3 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება აკეთებს სტუდენტთა აკადემიური პროგრესის მონიტორინგს ყოველ სემესტრულად. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ახორციელებს მონიტორინგს სტატუს შეჩერებულ სტუდენტებზე ყოველ წელს. სტუდენტთა რაოდენობის კალკულაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იგი შეესაბამება ლექციაზე, სემინარზე, ლაბორატორიულ, კლინიკურ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტთა იმ რაოდენობას, რომელიც დადგენილია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი წესით. ეს წესი შეფასდა როგორც ავტორიზაციის, ისე

აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში და არანაირი შენიშვნა არ ყოფილა. 5.1 სტანდარტის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ იზიარებს, იმიტომ, რომ სტუდენტთა რაოდენობის კონტროლისთვის გამოიყენება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრი, რომელიც დადგენილია შესაბამისი კანონმდებლობით. 5.1 სტანდარტის მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით გიორგი ცხვედიანმა აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია არ არის განხორციელებადი არსებული რეგულირების კონტექსტში, ვინაიდან უცხოელ სტუდენტთა მოწვევა ხდება რამდენიმე თვით ადრე კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვამდე. უცხოელი სტუდენტის ჩარიცხვა პროგრამაზე არის პირველი პროცესი, რომლის შემდეგ იწყება დოკუმენტების აღიარების, სავიზო და საქართველოში ჩამოსვლის პროცედურები. შესაბამისად, წინასწარ დასკვნაში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა რთული იქნება იმიტომ, რომ შეიძლება სტუდენტმა გადაიფიქროს პროგრამაზე ჩარიცხვა, ან შეცვალოს არჩევანი და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან ქვეყანა აირჩიოს სასწავლებლად. გიორგი ცხვედიანის თქმით, უნივერსიტეტი არ იზიარებს სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმირების მექანიზმების დახვეწასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას, რადგან სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონალს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო, მათ ნახეს როგორ ჩანს სტუდენტთან მისი სტატუსი და არსებული დავალიანება. შესაბამისად, ინფორმირების მექანიზმები დაწესებულებაში საკმარისად ხორციელდება. სტუდენტების ფინანსურ ვალდებულებებზე ინფორმირებულობის გაზრდასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას აქვს რჩევის ხასიათი რადგან არგუმენტირებულ პოზიციაში უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენად დიდი პროცენტული რაოდენობის სტუდენტი სარგებლობს სხვადასხვა სახის ფინანსური შეღავათებით. შესაბამისად, სტუდენტები კარგად ინფორმირებული არიან ფინანსური ხელშეწყობის ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნივერსიტეტს გააჩნია. კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმება. ექსპერტთა ჯგუფმა არასწორად შეაფასა აღიარების დასკვნა და უნივერსიტეტის დასაბუთება კონკრეტული საგნების კრედიტების აღიარების შესაძლებლობებთან მიმართებით. ე.წ. „ტუტორების“ რაოდენობა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის პარალელურად დაწესებულებაში შეიცვალა. გარდა ამისა, შეიცვალა „ტუტორების“ სამუშაო დატვირთვა. „ტუტორობა“ არის შრომითი ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილი. დაწესებულებამ დაამატა სრულ განაკვეთზე მომუშავე „ტუტორები“. ელექტრონული სერვისების შემოღებამ მათი საქმიანობა შეამცირა. მაგალითად, შეფასებების ასახვა, შეფასებების ვადაში შეყვანის მონიტორინგი და ა.შ. შესაბამისად, ახლა „ტუტორს“ მეტი დრო რჩება სტუდენტთა ინდივიდუალური კონსულტირებისთვის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტი იზიარებს ეთიკის კოდექსის, რიგი დოკუმენტების მოდიფიცირებასთან და მეტი კონტროლის განხორციელებას ოპერაციულ პროცესებთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ არის „PBL”-ი განსაზღვრული 10 ადამიანზე.
გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია სხვა მიზანს ემსახურება კერძოდ, თითქოს დაწესებულება იტყუება და უფრო მეტ ადამიანზე აქვს განსაზღვრული „PBL”-ი. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ცხრილები და დატვირთვის სიები, რომლებიც ცხადყოფენ იმას, რომ დაწესებულება არაფერს მალავს. მისი თქმით, დაწესებულებისათვის გაუგებარია რა მიზანს ემსახურებოდა მათი ასეთი ქმედება.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა, რა არის ის ძირითადი მიზეზები, რომლებიც ახდენს გავლენას სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე, გარდა ამისა, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში სტუდენტთა ჩართულობა.

ნიკა თიკანაშვილმა ასევე კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხება სტუდენტთა მხრიდან იურიდიულ და ფინანსურ საკითხებში მეტი ინფორმაციულობის გაზრდას. მას აინტერესებდა, რა იყო მოცემული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერების სამი ძირითადი მიზეზი არსებობს, რომელთა დაკავშირებითაც დაწესებულება შესაბამის კვლევას ახორციელებს. სტატუსის შეჩერების ძირითადი მიზეზია აკადემიური, სავიზო და სტუდენტის ფინანსური საკითხი. აკადემიური საკითხი გულისხმობს იმას, რომ უცხოელ სტუდენტს უჭირს ქართული ენის შესწავლა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სტატუსის შეჩერება. სტატუსის შეჩერების სავიზო საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტი შეიძლება ჩაირიცხოს პროგრამაზე და მიიღოს მოწვევის წერილი, მაგრამ გადაიფიქროს სწავლება იმიტომ, რომ ვერ აიღო ვიზა. სტატუსის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზია ფინანსური საკითხი. დაწესებულებას აქვს ფინანსური შეღავათების სხვადასხვა ფორმა კერძოდ, სწავლის საფასურის შემცირება გარკვეული კატეგორიის სტუდენტებზე. მაგალითად, უკრაინიდან და ისრაელი - პალესტინიდან ჩამოსულ სტუდენტებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს სწავლის საფასურის გადავადების საკითხს, რომელსაც სტუდენტთა რაოდენობის 30%-ი მიმართავს. მთავრობის მიერ მიღებულია დადგენილება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ დაწესებულებამ უნდა აცნობოს იუსტიციის სახლს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, რათა გაუუქმოს ბინადრობა. უნივერსიტეტი იზიარებს ამ მიმართულებით გაცემულ რეკომენდაციას. გარკვეული ხარვეზები უნივერსიტეტს ჰქონდა, რომელიც გამოასწორა, თუმცა მეტი ყურადღებით მოეკიდება აღნიშნულ საკითხს. სტუდენტთა მხრიდან იურიდიულ და ფინანსურ საკითხებში ინფორმაციულობის გაზრდასთან დაკავშირებით გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ სხვადასხვა წელს დაწესებულება იყენებდა განსხვავებულ პოლიტიკას ამ მიმართულებით. სტუდენტის ხელშეკრულებაში შეიძლება სხვა ინფორმაცია ყოფილიყო მოცემული ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით, ვიდრე ეს უნივერსიტეტის საერთო რეგულაციაშია. მისი თქმით, უცხოეთიდან ჩამოსასვლელი სტუდენტების განათლების აღიარების პროცედურა შეიცვალა. გარდა ამისა, სწავლის საფასურის გადასახადები დაჯგუფდა სხვადასხვა კატეგორიებად სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით. შესაბამისად, ამან გამოიწვია განსხვავება სტუდენტთა ფინანსურ საკითხში. გიორგი ცხვედიანმა სტუდენტთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეიმუშავა სტუდენტთა ახალი ეთიკის კოდექსი. გარდა ამისა, გამოცხადდა სტუდენტური თვითმმართველობის ახალი არჩევნები. ეთიკის და დისციპლინური კომისიის მუდმივი წევრი იქნება სტუდენტი (სტუდენტური ომბუდსმენი), რომლის მოვალეობა იქნება მტკიცებულებების შეფასება სტუდენტის სასარგებლოდ დისციპლინური განხილვის დროს.
ექსპერტმა შოთა სილაგაძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის დეტალურად განხილვის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასწავლო უნივერსიტეტში კვლავ რჩება სტუდენტის სტატუსის შეჩერების მთავარ მიზეზად ფინანსური დავალიანება. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არ იყვნენ იურიდიულ და ფინანსურ საკითხებზე. შესაბამისად, სტუდენტების იურიდიულ და ფინანსურ საკითხებზე კონსულტაცია გასაძლიერებელია შეჩერებული სტუდენტთა სტატუსის რაოდენობის შემცირების მიზნით.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, მეხუთე სტანდარტის ორივე ქვესტანდარტის შეფასება არის თუ არა ტექნიკური ხარვეზი. გარდა ამისა, კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას იზიარებს თუ არა დაწესებულება.
ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ დასკვნის პირველ პროექტში ექსპერტებს 5.1 კომპონენტი შეფასებული ჰქონდათ - „არ არის შესაბამისი ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“. დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის დეტალური ანალიზის შემდეგ 5.1 კომპონენტის შეფასება გახდა - „ნაწილობრივ შესაბამისობაშია ავტორიზაციის

სტანდარტრის მოთხოვნებთან.“ მისი თქმით, დაწესებულებას აქვს 450 ვაკანტური ადგილი. 437 უკვე ათვისებულია, თუმცა 13 ვაკანტური ადგილი დარჩენილია. გარდა ამისა, 93 სტუდენტზე კიდევ აქვს თანხმობა გაცემული სასწავლო უნივერსიტეტს. თეორიულად შესაძლებელია ამ რაოდენობის სტუდენტის მიღება, თუმცა დაწესებულებას არ აქვს მიღების წინაპირობებში კონკურსი დადგენილი. შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა კონცენტრირდეს ამ პროცესების გაძლიერებაზე.
გიორგი ცხვედიანის თქმით, დაწესებულებამ 5 თვის წინ კონტინგენტის გაზრდაზე განაცხადი შეიტანა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რომელიც ჯერ კიდევ წარმოების პროცესშია. 450 ვაკანტური ადგილის მიუხედავად უნივერსიტეტის რესურსი უფრო მეტ საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა გაორმაგა მატერიალური რესურსი და 60 – 70%-ით გაზარდა ადამიანური რესურსი.
მედიცინის პროგრამის ხელმძღვანელმა, ლეილა ახვლედიანმა განაცხადა, რომ კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას დაწესებულება არ ეთანხმება. უნივერსიტეტში სწავლება ინტეგრირებულია და გადმოსული სტუდენტები სწავლობენ კლასიკური პროგრამით. ის საბაზისო საგნები, რომლებიც გადმოსულმა სტუდენტებმა გიარეს, მოცემულია თითოეულ ორგანოთა სისტემაში. ექსპერტთა ჯგუფმა არასწორად შეაფასა აღიარების დასკვნა და უნივერსიტეტის დასაბუთება კონკრეტული საგნების კრედიტების აღიარების შესაძლებლობებთან მიმართებით.
ექსპერტმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციის მიზანია საგნის გამოკვეთა კონკრეტულ საგნობრივ ჯგუფთან, რათა მკაფიო გახდეს აღიარების დოკუმენტში.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება
დაწყების დრო: 15:13
დასრულების დრო: 15:30
საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები. ასევე, საბჭომ სტუდენტებისთვის იურიდიულ და ფინანსურ საკითხებში კონსულტაციების გაძლიერებასთან დაკავშირებით დუბლირებული რეკომენდაციები გააერთიანა და ჩამოაყალიბა ერთი რეკომენდაციის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს ბაუ ინთერნეიშენალი უნივერსითი, ბათუმისთვის გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად არაუმეტეს 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 88-ე მუხლის 21-ე პუნქტის შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმს განესაზღვრა არაუმეტეს 60 დღის ვადა გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშავოს სტრუქტურული ერთეულების მონიტორინგის და საქმიანოს შეფასების ეფექტური სისტემა;
2. რეკომედებულია, უსდ-მ განაახლოს ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმა;
3. რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშავოს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები და შეფასების სისტემა;
4. რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების დროული განახლება;
5. რეკომენდებულია, უსდ-მ შეასრულოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესში" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 4 აგვისტოს N74/ნ ბრძანებით შესული ცვლილება, რომლის თანახმადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის თაობაზე, ბრძანების გამოცემიდან 10 კალენდარულ დღეში ინფორმაცია წერილობით მიაწოდოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (აღნიშნული წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი);
6. რეკომენდებულია, უსდ-მ უზრუნველყოს საქმისწარმოების წესის არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება და მისი სრულად შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვის და სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელ პროცესებთან მიმართებით;
7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების სისტემის დანერეგვა;
8. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა გააძლიეროს მონიტორინგი საკანონმდებლო ნორმების დაცვის, სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრული ოდენობის საკითხების რეგულირების, სტუდენტთა განათლების აღიარების პროცედურების დახვეწის და სტუდენტთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით;
9. რეკომენდებულია, განხორციელდეს სტუდენტების პროგრესირებისა და შენარჩუნების მართვის, მხარდაჭერისა და მონიტორინგის პროცესი, რათა შემცირდეს შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა;
10. რეკომენდებულია, შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის შესამცირებლად უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება;
11. რეკომენდებულია, უსდ-მ დანერგოს სტუდენტთა რაოდენობის, კვოტასთან შესაბამისობის, სტატუსის შეჩერების მონიტორინგისა და სტატისტიკის წარმოების ეფექტური სისტემა;
12. რეკომენდებულია, უსდ-მ საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ თანხმობის გაცემის პროცესში გაითვალისწინოს არსებული ვაკანტური ადგილები, ჩარიცხვის მსურველთა მზარდი რაოდენობის გამო კი შეიმუშავოს და დანერგოს ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული პირების კონკურსის წესით ჩარიცხვის პროცედურები და გახადოს საჯარო;

13. რეკომენდებულია, უსდ-მ გააუმჯობესოს სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმირების მექანიზმები;
14. რეკომენდებულია, EMIS-ის მონაცემების გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, განახლება;
15. რეკომენდებულია, განახლდეს „სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ“ დებულება და უსდ-მ დაიცვას მისი ნორმები, რათა აღმოიფხვრას ოფიციალურად გაწერილ და რეალურად იმპლემენტირებულ პროცედურებს შორის არათავსებადობა, შეიცვალოს ძველი მუხლები და ვებგვერდზე ჩანაცვლდეს ძველი დოკუმენტი ახალი რედაქციით;
16. რეკომენდებულია, ფინანსურ, იურიდიულ და სხვა სტუდენტებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაძლიერება და ინფორმირებულობის უზრუნველყოფა;
17. რეკომენდებულია, განახლდეს სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, შევიდეს მასში ცვლილებები და რედაქტირებული ვარიანტი აიტვირთოს ვებ-გვერდზე;
18. რეკომენდებულია, დისციპლინური გადაცდომის განმხილველ ორგანოში განისაზღვროს სტუდენტი წევრისთვის ადგილი;
19. რეკომენდებულია, უსდ-მ განათლების აღიარების პროცესში საგნებს შორის შესაბამისობის დადგენის დროს გამოკვეთოს მათი შინაარსობრივი თანხვედრის საკითხი;
20. რეკომენდებულია, გაიზარდოს თითოეულ სასწავლო კურსზე მიმაგრებული ტუტორების რაოდენობა სტუდენტების ჩარიცხვის ზრდის პროპორციულად და განისაზღვროს ტუტორების რაოდენობის გათვლის წესი სტუდენტების რაოდენობასთან კორელაციაში;
21. რეკომენდებულია, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის საკითხში ტუტორების დატრენინგება და ინფორმირებულობის გაზრდა;
22. რეკომენდებულია, კლინიკური პრაქტიკის ობიექტებზე ხელმძღვანელების დამატებითი გადამზადება სტუდენტთა შეფასების პროცესთან დაკავშირებით და ლოგბუქებში შედეგების დროული აღრიცხვის მონიტორინგი;
23. რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტინგენტის დათვლის წესში შემცირდეს ერთ სასემინარო აქტივობაზე გათვლილი სტუდენტების რაოდენობა;
24. რეკომენდებულია, უსდ-მ პრაქტიკაში შეასრულოს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დათვლის წესში არსებული მონაცემი PBL აქტივობაზე 10 სტუდენტის გათვლის შესახებ.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით სიხარულიძე მიესალმა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ 2023 წლის 7 და 8 დეკემბერს ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი საქართველოს უნივერსიტეტში. ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ყველა დაინტერესებულ მხარეს და დაათვალიერა უსდ-ს მატერიალურ ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში შეაფასა ყველა სტანდარტი. შეფასების შედეგად გამოიკვეთა საუკეთესო პრაქტიკა და განისაზღვრა რეკომენდაციები. ექსპერტმა საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უსდ-ში მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი. კერძოდ მოხდა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და სილაბუსების დიგიტალიზაცია. გარდა ამისა, დსპ-ს (დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამა) დანერგვა მიმდინარეობს უნივერსიტეტში, რაც ემსახურება ინოვაციური, შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას. დავით სიხარულიძის თქმით მონიტორინგის პროცესში მათ მიერ გაიცა 7 რეკომენდაცია:

1. რეკომენდებულია კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად. ეს მექანიზმი აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული 18 პრაქტიკაში სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის PDCA ციკლის მიდგომებით;
2. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოები შეიქმნას არა ინდივიდუალური პროგრამისათვის, არამედ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ჯგუფებისათვის;
3. სამედიცინო განათლების მოწვეული პერსონალისთვის (ექიმები) სავალდებულო გახდეს ტრენინგი პრაქტიკული უნარების შეფასების შესახებ;
4. პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადაწყვეტილების მიღებისას რეკომენდებულია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში;
5. რეკომენდებულია მედიცინის სტუდენტთა უფრო მაღალი ჩართულობა კვლევაში;
6. რეკომენდირებულია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა)

დაითვალოს საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;

7. რეკომენდებულია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად გაწეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ დასკვნის პროექტში მათ გაცემული ჰქონდათ რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პოლიტიკის დოკუმენტების და წლიური გეგმების ინტერესის თითოეული სფეროსთვის შემუშავებას იმ მიზნით, რომ კარგად ყოფილიყო გამოყენებული შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ვებგვერდზე უნდა განთავსებულიყო ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომის მიზნით. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ შემუშავებული არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ ამოღებული იქნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილი მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს პროგრამის განვითარების საბჭო, რომელიც წარმოადგენს შიდა მექანიზმის ხარისხის კონტროლს. საბჭოს ფუნქცია არის ის, რომ მიღებული შედეგების ანალიზი გააკეთოს სიღრმისეულად პროგრამის დონეზე. მისი თქმით, დაინტერესებულ პირებში მოიაზრება გარე მექანიზმით განსაზღვრული პირები, თუმცა საბჭოს აქვს შესაძლებლობა გარედან მოიწვიოს დამატებითი პირები პროგრამის შეფასებისთვის. პროგრამას ინდივიდუალურად ჰყავს შემფასებელი. ეს მეთოდი დიდი ხანია დაწესებულებაში არსებობს, რომელიც მოიცავს კლასტერის საკითხებს და წარმატებით მუშაობს. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების აქტიურობასა და დაფინანსებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია ლანდიამ განაცხადა, რომ მედიცინის პროგრამაში შექმნიდანვე იყო გათვალისწინებული მეთორმეტე სემესტრში მცირე კლინიკური კვლევა, რომელიც წარმოადგენს კურიკულუმის სავალდებულო შიდა აქტივობას. მეთორმეტე სემესტრამდე სტუდენტი ემზადება მცირე კლინიკური კვლევისთვის „კვლევითი უნარები 1“ და „კვლევითი უნარები 2“ შესწავლის დროს. იმ სტუდენტებმა, რომლებმაც დაამთავრეს პროგრამა, შექმნილი აქვთ მცირე კლინიკური კვლევა. მისი თქმით, კურიკულუმის გარე აქტივობაში გათვალისწინებულია მედიცინის დეპარტამენტში სამეცნიერო ჯგუფი, რომელიც სტუდენტებთან ერთად არის ჩართული სხვადასხვა კვლევაში. შესაბამისად, კვლევასთან ხელმისაწვდომობა ყველა სტუდენტს აქვს. ნათია ლანდიამ გამტარუნარიანობის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა „Excel”-ის დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის მოცემული შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ლაბორატორიული შესაძლებლობები და ა.შ. გამტარუნარიანობის დადგენა დამოკიდებულია საგნის სპეციფიკაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა სოსო გოგილიძემ აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევები საქართველოში არსებული კანონმდებლობის მიხედვით არ არის გათვალისწინებული ბაკალავრის სტუდენტისთვის. მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე მხოლოდ კვლევითი უნარების გამომუშავება ხდება.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება

დაწყების დრო: 16 : 00
დასრულების დრო: 16:20
ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ყველა რეკომენდაცია გადაიტანა რჩევებში,
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისმიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდა შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

რჩევები:

1. სასურველია კონტინგენტის დაგეგმვის უფრო სრულყოფილი მექანიზმის შემუშავება, სადაც მითითებული იქნება ყველა ის აუცილებელი ინდიკატორი, რაც საჭიროა სწავლა-სწავლებისა და კვლევის სრულფასოვანი გარემოს შესაქმნელად. ეს მექანიზმი აქტიურად უნდა იქნას გამოყენებული პრაქტიკაში სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისათვის PDCA ციკლის მიდგომებით;
2. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საბჭოები შეიქმნას არა ინდივიდუალური პროგრამისათვის, არამედ კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ჯგუფებისათვის;
3. სასურველია სამედიცინო განათლების მოწვეული პერსონალს (ექიმები) ჩაუტარდეს ტრენინგი პრაქტიკული უნარების შეფასების შესახებ;
4. პროგრამების შემუშავებისა და მათი დამატების გადაწყვეტილების მიღებისას სასურველია დაწესებულება იხილავდეს საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულების შენარჩუნებისა და ცვლილების პერსპექტივებს. ავტორიზაციის განაცხადში მითითებული საფაკულტეტო სამიზნე ნიშნულები და მათი შენარჩუნება უნდა გახდეს ახალი პროგრამების დამატებისა და კონტინგენტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რაც რეკომენდებულია აისახოს შესაბამის საუნივერსიტეტო რეგულაციებში;
5. სასურველია მედიცინის სტუდენტთა უფრო მაღალი ჩართულობა კვლევაში;
6. სასურველია დაწესებულებამ უფრო ზუსტად და სხვადასხვა პარამეტრების გამოყენებით (ლაბორატორიების რაოდენობა და ფართი, კლინიკების რაოდენობა, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა და გამტარუნარიანობა, აუდიტორიების რაოდენობა) დაითვალოს

საგანმანათლებლო პროგრამების, განსაკუთრებულად საბაკალავრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების საჭიროებები და შეუსაბამოს ის სტუდენტების გაზრდილ კონტინგენტს;

7. სასურველია დაწესებულებამ კარგად გადახედოს მედიცინის პროგრამის პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობას (მისაღები სტუდენტების რაოდენობა, მედიცინის მიმართულებების არსებობა - ამბულატორიული, სტაციონარული მომსახურება) და დეტალურად გაწეროს და დაითვალოს ამ დაწესებულებების გამტარუნარიანობა.

საკითხებისგანხილვისშემდეგსაბჭოსსხდომადახურულადგამოცხადდა 2024 წლის14 თებერვლის 16:20 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა